ცნობის ფურცელი

№ 2078 ოთხშაბათი, 24 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2078

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

САФАБРИКО

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—67)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ზედგენიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ვ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

დ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

ექიმი

ფ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. იგ. ნათაძეს. (გ. 0—3)

ცინკოგრაფია

ტიპოგ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ახალი ამბავი

◆ სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ მკითხველთ: ცნობილმა ქართველმა ქველ-მოქმედმა სტ. კონ. ზუბალაშვილმა 50 ათასი მანეთი **შესწირა სათავად-აზნაურო სკოლის შენობას**. როგორც ვიცით, ამ შენობის ორი სართული უკვე მზად არის და ბ. ზუბალაშვილის შეწირულების შემდეგ საქმე უფრო ცოცხლად წავა. იმედია, თავად-აზნაურობაც და ჩვენი შეძლებულნი კერძო პირნიც ხელს შეუწყობენ შენობის დამთავრების საქმეს.

◆ ჩვენის **სამეურნეო ბანკის წევრთა საზოგადო კრება** დაინიშნა 16 მარტისათვის. კრებას განსახილველად წარედგინება ბანკის მოქმედების ანგარიში, სარევიზიო კომისიის ოქმი, საბჭოს მოხსენება მოგების განაწილების შესახებ და ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისათვის. გარდა ამისა კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის ერთი წევრი, ნაცვლად ვ. რ. ყიფიანისა, და საბჭოს ორი წევრი, ნაცვლად ნ. თ. ხიზანაშვილისა და გ. მ. ლასხიშვილისა, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ.

◆ მივიღეთ **ტფ. საზოგადოების „იასლი“-ს 1902 წლის** განმავლობაში მოქმედების ანგარიში. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 8751 მ. 7 კაპ.; დაუხარჯავს 6276 მ. 17 კ. საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნულია 27 თებერვლისათვის; კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საკითხები: შენობის შეძენისა და საზოგადოების მეორე თავშესაფარის დახურვის შესახებ

◆ შარშან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ კადეტთა კორპუსებში სახელმწიფო ხარჯით იღებდნენ **სამეგრელოს იმ თავად-აზნაურთა შვილებთაც**, რომელნიც ჯერ დამტკიცებულნი არ არიან ამ წოდებაში, მაგრამ საოჯახო სიებში შეტანილნი არიან, როგორც თავადნი და აზნაურნი. ახლა გაზ. „კავკაზ“-ი იტყობინება, რომ სამხედრო მინისტრს განუმარტავს: კადეტთა კორპუსებში მიიღებიან მხოლოდ იმ თავად-აზნაურთა შვილები, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში ყოფილან ან რომელნიც დამტკიცებულნი არიან ამ წოდებაში; ამიტომ ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის შუამდგომლობა შეწყნარებული ვერ იქნებაო.

◆ **ჭიათურის შტოზე** ამ ბოლოს დროს ზვავები ძალიან გახშირდა. ისე დღე არ გაივლის, რომ სადმე შტოზე მიწისა ან ქვის ზვავი არ ჩამოწვეს. ამის გამო მატარებლები იგვიანებენ და ხშირად რამდენიმე საათი უხდებათ დგომა. 21 და 22 თებერვალს სრულიად შეაჩერეს მატარებლების მიმოსვლა ამ შტოზე. 22 თებერვლიდან 10 მარტამდე სრულიად შეაჩერეს სახალხო მატარებლების №№ 99 და 100 მიმოსვლა. ეს მატარებლები ქიათურის შტოზე ღამ-ღამეობით დადიოდნენ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მარელისა და ბელაგორის შუა, 22 თებერვალს, ნაშუაღამევის პირველის ნახევარზე, **ზვავი ჩამოწოლილა**, რის გამო მატარებლების მიმოსვლა შეაჩერეს. სახალხო მატარებლების №№ 3 და 4 მგზავრებმა ფეხით უნდა გაიარონ და მეორე მატარებელში გადასხდნენ.

◆ დღეისთვის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ბრონისლავ სილ. სავინსკისა და სტანისლავ სკიბასი, რომელთაგან ჰბრალდება: პირველს ქვრივის ცელესტინა ტულოვსკის მოკვლა და 4000 მან. ნივთების მოპარვა, ხოლო მეორეს—ამ ბოროტ-მოქმედების დაფარვა.

◆ დიდ-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ივანე დეკანოზი გოთუა გვთხოვს დავბეჭდოთ: უღრმესს მადლობას ვუცხადებთ იაკობ ნწიკვაძეს, რომელმაც დიდ-ჯიხაიშის სამკითხველოსათვის შეაგროვა 24 მან. და 50 კ. და აგრეთვე იმათ, რომელთაც ეს ფული შემოსწირეს. სია იმათი:

იაკობ ნწიკვაძე 5 მან., ისიდორე გოგოძე—2 მ., გიორგი სადაძე—1 მ., მოსე და ნოე კეჟერაძეებმა—1 მ., ნიკოლოზ ჭეჭენაძე—1 მ., ნიკიფორე ბეგენიშვილი—1 მ., გიორგი კუკულაძე—1 მ., ალექსანდრე საბასტარაშვილი—1 მ., ივანე იმნაძე—1 მ., მოსე და სოლომონ რაზმაძეებმა—1 მ., გრიგოლ ნადარეიშვილმა—1 მ., კოწია ადამია—1 მ., პავლე გადაჭკორია—1 მ., ლაზარე სანაძე—1 მ., ისიდორე აბზიანიძე—1 მ., ვლადიმერ რუხაძე—1 მ., დიომიდე მამალაძე—1 მ., პლატონ კალოიანი—1 მ., სარდიონ კაკაბაძე—50 კაპ., ამბაკო კოხრეიძე—50 კ., და ივანე ფაშაკიძემ—50 კაპ.

კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

შაბათს, 22 თებერვალს, საღამო 8 1/2 საათზედ, ტფ. ოლქის სასამართლოს სადგომში, სასამართლოს უფროს თავმჯდომარეს ბ-ნ შარიგინის თავმჯდომარეობით, საზოგადო კრება ჰქონდა კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. კრებას დაესწრო 20 წევრი. სხდომის გახსნისთანავე კრებამ განიხილა რამდენიმე წვრიმალი საქმე და შემდეგ შეუდგა გარჩევას კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოხსენებისას იმის შესახებ, თუ რომელი საშუალებანია უკეთესი, რომ სოფლად მოისპოს სხვა-და-სხვა მოქმედებანი, მაგალითად, მამულების მითვისების საქმეში, პოლიციას მიეცეს უფლება აღადგინოს მამულზე დარღვეული მფლობელობა და სხვ. პირველად საზოგადოებამ განიხილა საკითხი სოფლის საზოგადოებაში შუამავალ მომრიგებელ კომისიების დაარსების შესახებ. ამ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. დამსწრე წევრთა ერთი ნაწილი პრინციპიალურად მიემხრო ასეთ კომისიების დაარსების საჭიროებას; ესენი ამტკიცებდნენ, რომ ამ მომრიგებელ კომისიებს მით უფრო მეტის სარგებლობის მოტანა შეეძლებათ, რომ დღეს მომრიგებელ მოსამართლენი, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ძალიან დაშორებული არიან ხალხზე და უბრალო საჩივრისათვის ხალხმა ოცი, ოცდა ათი ვერსი უნდა გაიაროს; გარდა ამისა, საქმე გრძელდება მთელი წლობით და ამის გამო ხუთი-ათი თუმნის სადავო საქმეში მეურნეს ორწილად მეტი ხარჯი მოუდის. აღნიშნულ კომისიათა ინსტიტუტი, თუ შემოღებულ იქმნება, დიდს დახმარებას გაუწევს ხალხსაო. საფრანგეთსა და გერმანიაში არსებობენ ასეთი კომისიები, რომელთა შესანახად თვით მთავრობა იძლევა ფულს; კავკასიაში შეიძლება მათ შესანახად თვით საზოგადოებამ გამოიღოს საჭირო ფულიო. კრების წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი გაუხდა კომისიის დაარსების საჭიროებას. ესენი ამტკიცებდნენ, რომ მთელი უკმაყოფილება მეურნეთა შორის დღეს კავკასიაში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მამულების გამიჯვნის საქმე ძრიელ დაგვიანებულია; თუ გვინდა, რომ ყოველივე უკმაყოფილება მამულების გამო მეურნეთა შორის მოისპოს, საჭიროა, რაც შეიძლება, დაჩქარებულ იქმნას მიწების გამიჯვნა, რომლის შემდეგაც აღარ იქმნება შესაძლებელი ისეთი საჩივრები, დავა და უსიამოვნება, რომელთაც დღეს ვხედავთო. კარგა ხანს კამათის შემდეგ, კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა არ იქმნეს შემოღებული შუამავალი კომისიები.

შემდეგ თავმჯდომარემ წარუდგინა საზოგადოებას წინადადება სამეურნეო საზოგადოებისა იმის შესახებ, რომ გადათვალიერებულ იქმნეს კანონი მიწების დასაკუთრებისა და მფლობელობის შესახებ. კრებამ შეუძლებლად დაინახა ამ წინადადების განხილვა იმ მოსაზრებით, რომ სამეურნეო საზოგადოებას გარკვევით არა აქვს აღნიშნული, თუ ამ კანონის რომელი ნაწილი უნდა იქმნეს გადათვალიერებული.

დიდი კამათი გამოიწვია თავ. ჯანდიერის მოხსენების იმ ნაწილმა, სადაც ნათქვამია, რომ პოლიციას მეტი უფლება მიეცეს მეურნეთა შორის მიწებზე მფლობელობის დარღვევის აღსადგენად. ოლქის სასამართლოს წევრმა, ბ-ნმა იაზვინსკიმ, განაცხადა: ტფილისის გუბერნიას არ ვიცნობ, მაგრამ, რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, როგორც უფიცი მომრიგებელი მოსამართლე, დაახლოვებით ვიცნობ და შემიძლიან ვსთქვა, რომ ძალიან ნაკლები სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის 1885 წელს მთავარმართებლის მიერ გამოცემულ ცირკულიარს—პოლიციელების დახმარებით მამულზე დარღვეულ უფლების აღდგენის შესახებ. აღნიშნულ ცირკულიარით, მამულის დამკარგველმა, თუ 24 საათის განმავლობაში არ განაცხადა, რომ მისი უფლება დაარღვიეს, მერე სასამართლოს შუამავლობით უნდა აღადგინოს თავისი უფლება. ხალხი ამ მხრით მეტად შევიწროებულია. ხშირად მესაკუთრე გამოცხადების ვადას ჰკარგავს, რადგანაც ვერ ასწრობს 24 საათის განმავლობაში და შემდეგ კი მთელი წლობით უხდება თავის უფლების აღდგენას, რაც მას ძვირად უჯდება. ამიტომ, ჩემის აზრით, უკეთესი იქნება ვადად ექვსი თვე კი არა, როგორც სამეურნეო საზოგადოება თხოულობს, არამედ 1 წლიწადი იქნეს დანიშნული, რადგანაც კავკასიაში ბევრი ისეთი მიყრუებული კუთხეა, რომ 6 თვის განმავლობაში ვერ მოასწრობენ გამოცხადებას და თავის დარღვეულ უფლების აღდგენას. ბ. სვიცკი ამბობს, პოლიციას მეტი უფლება არ შეიძლება მიეცეს, მხოლოდ კარგი იქნება, რომ მან მფლობელობის უფლების დარღვევის დროს ოქმი შეადგინოს და დაინტერესებულ მხარეს გადასცეს, რასაც უკანასკნელი გამოიყენებს სასამართლოშიო. ბოლოს კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ პოლიციას არამც თუ მეტი უფლება არ მიეცეს სადავო მამულების საქმის გარჩევაში, არამედ საჭიროა სრულად არ ჩაერიოს ამ საქმეშიო. დარღვეულ უფლებების აღსადგენად კრებამ გადასწყვიტა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ ერთის წლის ვადა იქმნეს შემოღებული.

დასასრულ ლაპარაკი აღიძრა იმაზე, თუ როგორ მოეწყოს საქმე, რომ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას რაც შეიძლება ჩქარი და ხელმისაწვდომი სასამართლო ჰყავდეს. ამ კრებაზე ამაზე მსჯელობას ვერ ვიქონიებთო, სთქვა თავმჯდომარემ, და კარგი იქნება ამოვირჩიოთ ვინმე მოხსენების შესადგენად, თუ როგორ გაუმჯობესდეს სოფლის სასამართლოების საქმეო. ასეთის მოხსენების შედგენა იკისრა კერძო ვექილმა ბ-ნმა ვოილეხოვსკიმ.

კრება ღამის 11 საათზე დასრულდა.

წერილი სიღნაღიდან

დრონი იცვალნენ.—„ბლინიანობა“.—წარმოდგენები.—მომავალი საავადმყოფო.

დრო გამოიცვალა, ხალხიც გამოიცვალა და გულიც გაცივდა, ამბობენ სიღნაღელები და არცა სტყუიან. ამ ყველიერმა ისე ჩუმად და შეუმჩნევლად გაიარა, რომ უწინდელ ყველიერს არაფრით არა ჰგავანდა. უწინ ყველიერში დიდი მხიარულობა იცოდნენ და სრული კვირა თუ არა, ხუთშაბათიდან ორშაბათამდის ხომ სულ ლხინსა და ქეიფში ატარებდნენ. ორშაბათს-კი, წმინდა ორშაბათად წოდებულს, ვეინს დასვამდნენ, შემოატარებდნენ მთელ ქალაქს, ბევრს იცინებდნენ, ნაშოვარს შეაგროვებდნენ, მერე ამ ნაშოვნით იქეიფებდნენ, საღამოთი იგრიგებდნენ და ამ თავპირის მტვრევით დააბოლოვებდნენ სიმხიარულეს. აღდგომამდინ არაფერი გართობა აღარ შე

იძლებოდა და ეძლეოდნენ მარხვასა და სინანულს. უკვდიერში ბერიკაობაც იცოდნენ. ახლა-კი აღარც ბერიკაობა, აღარც სხვა სიმხიარულე და აღარც ყეინობა არ იყო. უქმე იმით გამოიხატა მხოლოდ, რომ შაბათ-კვირას ხალხი მეიდანზე გამოსული იყო, სკამებზე ჩამომწკრივებულიყო და ერთმანეთს უამბობდნენ, ვინ გაკოტრდა, ან შესჩიოდნენ თავიანთ დღიურ ვარამსა და გაჭირვებულ ცხოვრებას. სიმთვრალის ნიშან-წყალიც აღარ ემჩნეოდათ და ყველას თავ-პირი ჩამოსტიროდა. ამ უკანასკნელ წლებ მაინც ძლიან იშვიათია სიღნაღში გადაჭარბებული ქეიფი და დროს ტარება ზურნითა და საზანდრებით. ეს სოფლის ქორწილები რომ არ იყოს, სწორედ ზურნის დაკვრა გადაგვავიწყდებოდათ, შემომჩივლა მეზურნემ. რაც ქიზიყი დაზარალდა მოუსავლობით, სიღნაღელებმაც საკმაოდ ჩამოჰყარეს ყურები; ახლა კი ყველა ჰგრძნობს, რომ ამათი კეთილ-დღეობა სოფლელების კეთილ-დღეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. „არა, ძმავ, ღმერთმა მისცეთ სოფლელებს, რომ ჩვენც, ჭკუადაც იქმნება, თუ ჭარმად გვერგოს რამეო“, ამბობენ აქაური ვაჭრები და მართალსაც ამბობენ.

„ბლინიანობის“ შემდეგ 15 თებერვალს წარმოდგენა გამართეს სიღნაღის საკრებულოს დარბაზში ამავე საზოგადო საკრებულოს (კლუბის) თანხის გასაძლიერებლად. ამის სასარგებლოდ წარსულ წელსაც გამართა წარმოდგენა. ამ მოკლე ხანში ორი წარმოდგენა გაიმართა ამ ორიოდე კაცის თავ-შესაქცევისათვის, რომელთაც ისეც შეუძლიათ ფულის შოგროვება; სხვა უფრო საჭიროებისათვის არავინ სცდილობს. ავიღოთ თუნდა ქალების სასწავლებელი: რამდენი ყმაწვილი დაითხოვეს სწავლის ფულის შეუტანლობისათვის, რამდენი სხვა გაჭირვება აქვთ და რამდენი მშიერ-მწყურვალე ოჯახობაა სიღნაღში, რომელნიც დახმარებას საჭიროებენ, ხოლო ვისაც რამე გაგონა და შეძლება აქვს, ისინი ამ ქრისტიანულ და ზნეობრივს მოვალეობას თავს არიდებენ და კერძო საქმეებს ახმარებენ დროს. წარმოდგენა რუსულ ენაზე იყო და ითამაშეს სამ მოქმედებიანი კომედია. ხალხი ცოტა დაესწრო და ვინც დაესწრო, ისიც უკმაყოფილოა.

წარმოდგენა გამართეს აგრეთვე მარინეს დედათა სასწავლებელში. ითამაშეს საბავშო კომედია „ობოლი“; მონაწილეობას იღებდნენ თვით მოსწავლე ქალები. წარმოდგენის დროს და შემდეგ რამდენიმე სიმღერაც შეასრულეს. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა, მაგრამ როგორც მოთამაშენი, ისე მომმზადებელნი მასწავლებელი ქალები უკმაყოფილონი არიან, რომ გარეშეებს დასწრების ნება არ მისცათ სასწავლებლის უფროსმა. წინად ყოველთვის მშობლებს მიიწვევდნენ ხოლმე.

როგორც ნამდვილად გაიგეთ, ქალაქის მამასახლისი აპირებს სიღნაღში სამოქალაქო საავადმყოფოს დაარსებას და საკუთარის ექიმისა და ფერშლის მოწვევას. ეხლა ახალი დაფასება მამულებისა ძალაში შევიდა ამ თებერვლის 15-დან და ამ შემოსავლიდან თურმე აქვს იმედი საავადმყოფოს შენახვისა. ამ ცოტა ხანში კი ბაქოს აპირებს წასვლას, რომ იქ ადგილობრივ მოელაპარაკოს სიღნაღელ ინჟინრებს, რომელთაც განუზრახავთ თავიანთ ხარჯით და ცოტა რამ ქალაქის დახმარებით, სიღნაღში წყაროს გამოყვანა. ღმერთმა ჰქმნას, გამართლდეს ეს კეთილი საქმე!

პროვინციელი.

დაბა-სოფლები

ოზურგეთი (გურია). ოზურგეთს აქვს ერთად-ერთი სასეირნო ბაღი, სადაც ორი ხის შენობაა; ეს შენობები იმდენად ძველია, რომ ერთი კიდეც ჩაინგრა თოვლისაგან და მეორეც მზად არის დასაქცევად, რადგან საძირკვლები მთლად დამპალი აქვს. საჭიროა, ქალაქის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამას. 1902 წლის უკანასკნელ კრებაზე (გგონებ, დეკემბერში იყო) ჩვენმა ხმოსნებმა დაადგინეს: აეშენებინათ ერთი დიდი შენობა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს თეატრი, ქალაქის გამგეობა და სხვა. ეს შენობა, როგორც გვითხრეს, დაჯდება არა ნაკლებ 8—10 ათასი მანეთისა, რომელიც ჩვენ დაბას სიზმრადაც არ უნახავს ჯერა. ამ დიდ შენობის ნაცვლად უკეთესია მოუარონ და შეაკეთონ ზემოხსენებული შენობანი.

ერთი წლიწადი იქნება სწორედ, რაც აქ სამარხი კასსა არსებობს. სულ ამ კასსას 20—25 წევრი ჰყოლია. საჭიროა, ცოტაოდენი თავი შეაწუხონ გამგეებმა და მეტი წევრი შეიძინონ, თორემ ეს კასსა თქვენს ჭირს წაიღებს.

რაც ამდენ ხანს სუსხიანი და ცივი დარები იყო, ეხლა სულ დაგვავიწყდა, ისეთი მზიანი დღეებია.

Fean.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 თებერვალი.

ირკუტსკი. ციმბირში დასახლებული მიდლოვსკი და სტებლიანსკი და ამის ხელის შემწყობი გლეხი კულიკი სამხედრო სამართალში მისცეს. ამათ ჰბრალდებათ მინუსინსკის მაზრის, ბეისკის სოფლის მღვდლის სახაროვისა და იმისის ორის ქალიშვილის მოკვლა.

სიმბირსკი. ბირჟის საზოგადოების განსაკუთრებულმა კრებამ კომისია აირჩია ვოლგის გაღმა მდებარე მხარის ეკონომიურ მდგომარეობაზე ცნობების შესაკრებად და გამოსაკვლევად.

პლოცკი. სასოფლო სამეურნეო კომიტეტმა საჭიროდ სცნა: ორის რკინის გზის გაყვანა, მდინარე ვისლაზე ნავთ სადგურების აშენება, ვისლის ნაპირების მოწესრიგება, არეულ მიწის მფლობელობის მოსპობა, საშუალო და დაბალ სასოფლო სამეურნეო სკოლების გახსნა, სამასწავლებლო სემინარიებთან მებაღეობისა და მეფუტკრეობის კურსების გამართვა, ვარშავაში საბაქტერიოლოგიო სადგურის დაწესება, სასოფლო-სამეურნეო წესდების გამოცემა, პოლიციის მხედველობის ქვეშ მეოჯახეთათვის საშუშე სახლების გამართვა, მეტრიულ ზომის შემოღება, გამოიცეს ისეთი კანონი, რომ სოფლებს ცეცხლის მქრობელ რაზმის ყოლა დაევალოს, სასოფლო შემნახველ-გამსესხებელ კასების რეორგანიზაცია, სასოფლო ბეგრის მაგიერ ფულის გადასახადის დაწესება, ეს გადასახადი მოვაჭრე და მრეწველ კლასსაც უნდა დაეკისროს, სამელიორაციო კრედიტის დაწესება და სხვ.

როსტოვი დონზე. ქალაქის საბჭომ დაადგინა, სასოფლო სამეურნეო პოლიტეხნიკუმის დაარსება ითხოვოს.—ბირჟის კომიტეტი როსტოვში ოლქის სასამართლოს დაწესებას თხოულობს.

მექსიკა. 21 თებერვალს მიკო-დე-კოლიმის ვულკანმა მეტად ძლიერ იფეთქა.

კენიგსბერგი. ავერის კონცერტები ძლიერ მოსწონს საზოგადოებას.

ბერლინი. „ქელნიშე ცაიტუნგ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, ადგილობრივი გაზეთები ამბობენ, მალე სამი-ოთხი მინისტრი სამსახურიდან გადადგებაო.

კოპენჰაგენი. მეფის ქრისტიანის დაბადების დღე, 26 მარტს, ვნების კვირას მოდის, ამიტომ იმპერატორი ვილჰელმი ამ დღეს თითონ პირადად ვერ ესტუმრება მეფეს და ამის მაგიერ კოპენჰაგენში 20 მარტს მოვა.

პარიზი. გარეშე საქმეთა კომისიამ მიიღო დელონკლის წინადადება, რომელიც აბისინიის საქმეთა შესახებ დოკუმენტების გამოცხადებას თხოულობს.

მელილია. კაბილებისაგან გაგზავნილმა კაცებმა ტახტის მაძიებელი ნახეს და იტყობინებიან, მაძიებელს ბევრი მიმდევარი ჰყავსო; ეს ცნობა მთლად ეწინააღმდეგება ოფიციალურ ცნობებს. კაბილები მელილის ახლო-მახლო ისევ ჰღელავენ; ესენი არა ჰმალავენ, რომ ტახტის მაძიებელს თანაუგრძნობენ.

ლონდონი. გამოცხადეს „თეთრი წიგნი“, რომელშიაც დაბეჭდილია ლანსდოუნის განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ინგლისი მაკედონიის საქმეს; ეს განმარტება ავსტრო-უნგრეთის ელჩის აზრის თანახმად დაწერილი. განმარტებაში სწერია: რეფორმათა პროექტის მიღება ინგლისისაგან იმას არა ჰნიშნავს, რომ ინგლისს არ შეეძლოს სხვა პროექტის შედგენა, თუ რაიმე მიზეზით ავსტრიისა და რუსეთის პროექტი უვარგისი გამოდგარიყო.

კონსტანტინეპოლი. რუსეთ ავსტრიის წინადადების თანახმად, ხონთქარის ბრძანებით პოლიტიკურ დამნაშავეთ ეპატიათ.—დაადგინეს წესი, რომლის თანახმადაც უნდა მიიწვიონ უცხოელი ოფიცრები პოლიციის მოსაწყობად. შეთანხმებას ვალის კონვერსიის შესახებ 21 თებერვალს ფინანსთა მინისტრმა და „გერმანულ ბანკის“ დირექტორმა ხელი მოაწერეს.

პეტერბურგი. 22 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე ეზიარნენ.

23 თებერვალი

მოსკოვი. აქ გაიხსნა შინაურ ფრინველთა გამოფენა.

ხარკოვი. ბანკის საქმის გაგრძელება სასამართლოში დაიწყება 24 თებერვალს.

აქვილა. 22 თებერვალს მიწა იძრა.

ტანჟერი. ტანჟერის გუბერნატორმა ფეციდან მიიღო ცნობა, რომ მოციქლე ტყვედ წაუყვანიათ.

ლონდონი. სტამბოლში „სტანდარტ“-ის კორესპონდენტს ჰქონია ლაპარაკი დიდ ვეზირთან მაკედონიის რეფორმების შესახებ. დიდმა ვეზირმა სთქვა, რომ რეფორმებს მაკედონიაში შემოიღებენ შეუცდელად, მხოლოდ ამას დრო უნდაო. ინჟინრები მაკედონიაში ახალ გზებს აკეთებენ, ამის გამო ვაჭრობა შესამჩნევად განვითარდება.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მმართველობამ აცნობა რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩებს, რომ კომისია არის შემდგარი თვალ-ყური ადევნოს ბულგარიის იმ ოჯახთა დაბრუნებას, რომელნიც პატიებულ იქმნენ სულთანის მიერ. ამათ იარაღს ართმევენ და ფიცს აძლებინებენ მომავალში ერთგული ქვეშევრდომნი იყვნენ. აქამდე დაბრუნდა 400 ემიგრანტი.

პრაგა. 21 და 22 თებერვალს აშაში, გრასლიცში და დოვლოხში მიწის ძვრა იყო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 14 თებერვალს

გექსილის კურსი 10 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98¼ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¼ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95 „
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	454 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 „
5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ მამ. ბანკისა	306½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 05 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ფორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ, (7 ს. 38 წ.).

ფორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

ფოთის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხუთშაბათს 27 მარტს 1903 წელს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია უკანასკნელი ზეპირი საჯარო ვაჭრობა (შეიძლება წერილობით განცხადებანიც) ქალაქის ოცდა სამ დაგეგმილ მიწის გასასყიდათ, რომლებიც მდებარეობენ სანავთსადგურო ქალაქის ფოთის დიდ კუნძულის ბლესის ნაბერეჟნის გასწვრივ—№№ 1200, 1201, 1202 1203, 1204, 1205, 1206, 1207, 1208, 1209, 1210, 1211, 1212, 1213, 1214, 1215, 1216, 1217, 1218, 1219, 1220, 1221, და 1222 ზომით 349-იდან—414 ოთხ კუთხიან საჟენამდე თითო. ეს მიწები გაიყიდება იმ პირობით, რომ მყიდველმა სამის წლის განმავლობაში ქვის სახლი ააშენოს ცეცხლის მხრივ უზრუნველ ყოფილ თავსახურავებით. თუ ეს პირობა მყიდველმა არ შეასრულა, მაშინ გამგეობა ჩამოართმევს ამ მიწებს და მყიდველები არა თუ მიწის პატრონობის უფლებას ჰკარგავენ, არამედ იმ ფულსაც, რომელიც მიწის ფასად მისცა გამგეობას. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ფულით წინად,—ოცი პროცენტი მიწის ღირებულობისა. დანარჩენი უნდა შეტანილ იქმნას ერთის თვის განმავლობაში საჯარო ვაჭრობის შემდეგ. როცა მყიდველი მთლად ჩააბარებს მიწის საღირალს ფულს, გამგეობა აძლევს დროებით მოწმობას ამ მიწაზედ შენობის აგების ნების მინიჭების შესახებ; როდესაც მყიდველი შენობას აგებს, მაშინ გამგეობა მისცემს ნასყიდობის ქაღალდს. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 2 მანეთიდან ოთხ საჟენზე (3—6—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **ბეტონის წყლის მილის** გაკეთება, სიგრძით 80.00 საჟ., სიგანით 0.375×0.25, აწ არსებულიდან მიხეილის ქუჩაზე ფრიდონოვის სახლამდე, 1700 მან. ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობები შეუძლია განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ 3—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 Февраля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)